მეხუთე კლასი

ჯამური ქულა: 100
საკითხების რაოდენობა: 40

ტესტი შედგება 5 სავარჯიშოსაგან. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის კითხვის, გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას. ყველა საკითხი არჩევითპასუხებიანია.

#1 წაკითხულის გააზრება - Read the text and choose the correct answer A, B, C or D

ქულა: 15
საკითხი: 5 (თითო 3ქულა)

მოსწავლეს შეხვდება მოკლე, ასაკის შესაფერისი ტექსტი და მან უნდა შეარჩიოს სწორი პასუხი თითოეულ კითხვაზე ოთხი მოცემული პასუხიდან (A, B, C, D).
სავარჯიშო ამოწმებს წაკითხულის გააზრებისა და ტექსტიდან ძირითადი, კონკრეტული ინფორმაციის ამოცნობის უნარებს.

#2 ლექსიკა კონტექსტში-Vocabulary in context: Read and choose the correct lexical unit for each gap.

ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

მეორე დავალება ამოწმებს ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა ცოდნას და მათი სათანადოდ გამოყენების უნარს. მოსწავლე კითხულობს პატარა აბზაცს, რომელშიც 10 სიტყვაა გამოტოვებული. მან უნდა შეარჩიოს ლექსიკურად სწორი ფორმა თითოეული გამოტოვებული ადგილისთვის.

#3 ზოგადი ლექსიკურ-გრამატიკული ქვიზი -Vocabulary and grammar quiz

ქულა: 20
საკითხი: 10 (თითო 2 ქულა)

სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ლექსიკური მარაგის და დონის შესაბამისი გრამატიკული ერთეულების ცოდნას.

მაგალითი:

Birds use … to fly.
A. fur B. wings C. ears D. tails

სწორი პასუხია **B. wings.**

#4 განსხვავებული სიტყვის ამოცნობა - Find the odd one out.

ქულა: 15
საკითხი: 5 (თითო 3 ქულა)

ამ დავალებაში მოსწავლემ 4 სიტყვიდან უნდა ამოიცნოს ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელიც ზედმეტია/განსხვავდება დანარჩენი სამისგან.

მაგალითად, მოცემულია

A. cup B. glass C. ruler D. plate

სწორი პასუხია C. **ruler** , რადგან დანარჩენი სამი სიტყვა ჭურჭლის აღმნიშვნელი ერთეულებია.

#5 შედგენილი არსებითი სახელები-Compound nouns: Match the word with A, B, C or D to make a common compound word.

ქულა: 20
საკითხი: 10 (თითო 2 ქულა)

ბოლო დავალება ამოწმებს ნაცნობი შედგენილი არსებითი სახელების ცოდნას. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ისეთი ორი სიტყვა, რომელთა შეერთებითაც ვიღებთ რთულ/შედგენილ არსებით სახელს.

მაგალითი:

Sun A. shine B. bright C. blow D. glow

სწორი პასუხია **A. shine,** რადგან ორი სიტყვის „sun" და "shine" შეერთებით ვიღებთ შედგენილ არსებით სახელს -„**Sunshine**".